ფეხბურთთან დამშვიდობება

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 16 ნოემბერი. მოღრუბლულობა, დროდადრო წვიმა. 13 გრადუსი. ელექტრონული განათება. 35 000.

“დინამო” (თბილისი) - ცსკა 2:1 (1:1).

გოლები გაიტანეს: იამანიძე (5) – 1:0, შიმანოვიჩი (17) – 1:1, იამანიძე (62) – 2:1.

“დინამო”: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ჭელიძე, რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი, ხართიშვილი, ილიადი, ხუციშვილი, ბარქაია, იამანიძე, დათუნაშვილი.

ცსკა: კუდასოვი (ბაუჟა - 65), შებლიაკოვი, ზოსიმოვი, პერელშტეინი, ანტონევიჩი, მანოშინი (კასიმოვსკი - 73), პოლიაკოვი, პოლიკარპოვი, ფედოტოვი, კაზაკოვი, შიმანოვიჩი.

მსაჯი ა. ზვერევი; გვერდითი მსაჯები პ. გორბაჩოვი და ე. ოდინცოვი (ყველა ლენინგრადი).

დუბლიორები – 2:0 ცსკა-ს სასარგებლოდ. გოლები გაიტანეს პროსიკოვმს (11 მეტრიანით) და კოზლოვმა.

საკავშირო ჩემპიონატის უკანასკნელ მატჩს ჩვენს სტადიონზე დააკლდა ორივე გუნდის წამყვანი მოთამაშეები - ნაკრების წევრები და ძნელი სათქმელიცაა, რომელმა მათგანმა განიცადა ამით უფრო მეტი დანაკლისი. მაგრამ ფაქტია, რომ მაყურებელი ამით წაგებული არ დარჩენილა. მან ნახა საინტერესო, დაძაბული ბრძოლა, ტემპიანი, ოდნავ ძალისმიერი (როგორც ეს ცსკა-ს ტრადიციებშია), ათლეტური ფეხბურთი. მოწყენილობამდე საქმე არ მისულა.

თბილისელმა ფეხბურთელებმა ღირსეული პატივი სცეს მეტოქეთ, რომელთაც წელს III ადგილი დაიკავეს გათამაშებაში: ყვავილები გადასცეს თითოეულ მათგანს ამის აღსანიშნავად და... უკვე მე-5 წუთზე აიძულეს ცენტრიდან დაეწყოთ თამაში. ცსკა-ს საჯარიმო მოედნის სიახლოვეს შეიქმნა მომენტი, როცა იამანიძე ბურთიანად შემოიჭრა იქ, ყველა პარტნიორი კი დაკეტილი აღმოჩნდა. რჩებოდა ალბათ, ერთადერთი, ყველაზე ძნელი გამოსავალი - კარში დარტყმა რთული მდგომარეობიდან. დინამოელთა ფორვარდმა იკისრა ეს და ბურთი სახტად დარჩენილი კუდასოვის გვერდით მოხვდა ძელს და გავიდა კარში - 1:0.

საპასუხო გოლს დიდი ხანი არ დასჭირვებია. თბილისელთა დაცვაში რამდენიმე შეცდომა იქნა დაშვებული და ერთ-ერთი მათგანი არმიელებმა სათანადოდაც გამოიყენეს: “დინამოს” საჯარიმო მოედანზე შექმნილ არეულობაში პოლიკარპოვმა ბურთი სწრაფად გადასცა მარჯვნივ გადანაცვლებულ შიმანოვიჩს, ამ ზონაში არ აღმოჩნდა ცხოვრებოვი და მოსკოველმა ახლო მანძილიდან გაათანაბრა ანგარიში - 1:1.

თამაშის ტემპმა კიდევ უფრო მოიმატა მეორე ტაიმში. ენერგიულად, სრული სისწრაფით იბრძოდნენ დინამოელთა ნახევარმცველები და თავდამსხმელები, სადაც განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია იამანიძე. სწორედ მან გაიტანა მეორე გოლი და გაიტანა ნამდვილი ოსტატის ხელოვნებით. ყოველმხრივ დახურულმა თავდამსხმელმა მოულოდნელად, საკმაოდ ორიგინალური დარტყმით გაგზავნა ბურთი კარში და კუდასოვმა ვერ შეძლო მისი მოგერიება - 2:1.

მატჩის დასასრული არმიელთა განუწყვეტელი იერიშებით აღინიშნა. იყო მომენტი, როცა დინამოელთა კარი ბეწვზე ეკიდა. მაგრამ კოტრიკაძემ შეძლო პოლიკარპოვის მიერ ძლიერად დარტყმული ბურთის აღება.

გამოთხოვება სსრ კავშირის 1965 წლის ჩემპიონატთან თბილისის ‘‘დინამოსა’’ და ცსკა-ს მატჩის სახით საინტერესო სპორტულ სანახაობას წარმოადგენდა.

ბ. ქორქია.

“ლელო”, 17 ნოემბერი, 1965 წ.

დამატებითი მონაცემები “სოვეტსკი სპორტიდან” 17.11.65